ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 595 71 02 00

N 26
31/05/2019

26-08-4-201905311653

განკარგულება

ა(ა)ი.პ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ საბიბლიოთეკო მომსახურების, მუზეუმების სამუზეუმო ფონდისა და მართვის ორგანიზების სფეროში გაწეული საქმიანობისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის 22.05.2019 წლის N 3 აქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ საბიბლიოთეკო მომსახურების, მუზეუმების და თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერიის მართვის ორგანიზების სფეროში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს:

ა) სამუზეუმო ნივთებისა და კოლექციების მდგომარეობის, დაცულობისა და აღრიცხვიანობის, აგრეთვე ზოგადი სამუზეუმო წესების დაცვის მიზნით, ნ.ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის ადმინისტრაციის გაყვანა და ალტერნატიული ფართის გამოყოფა.

ბ)მთავარი ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაციის პროექტის შედგენა და 2020 წლის ბიუჯეტში შენობის სრული რეაბილიტაციისათვის შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინება.

გ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის 22.05.2019 წლის N 3 აქტიდან გამომდინარე მიმდინარე წლის 01 ნოემბრამდე წარმოადგინოს იმ შენობა ნაგებობათა ეტაპობრივი რეაბილიტაციის გეგმა, რომელშიც განთავსებულია ბიბლიოთეკები.

დ) ქვემოერკეთის ბიბლიოთეკაში უხარისხოდ ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების გამოსწორება, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების გარანტიის ვადის საფუძველზე.

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მერიის ბალანსზე რიცხული წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია და გადაცემა ა(ა)იპი არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრისათვის.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ა(ა)იპი არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრთან ერთად უზრუნველყოს:

ა) მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაწყებული მუზეუმის ფონდის აღწერის დასრულება და ანგარიში წარუდგინოს საკრებულოს მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში.;

ბ) მოსე გოგიბერიძის გარდაცვალებიდან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით სასწრაფოდ ჩატარდეს მუზეუმში სარემონტო სამუშაოები.

გ) საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე შეიმუშაოს ბიბლიოთეკების, თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის და მუზეუმების საქმიანობის გაუმჯობესების გეგმა ეროვნული ბიბლიოთეკის და შესაბამისი მეთოდცენტრების რეკომენდაციების გათვალისწინებით და მიმდინარე წლის ბოლოს წარმოუდგინოს საკრებულოს განსახილველად.

დ) წიგნადი ფონდის განახლებისათვის და ჟურნალ-გაზეთების გამოწერისათვის მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებები.

4. ა(ა)იპი არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრმა უზრუნველყოს:

ა) საკუთარი შემოსავლების გაზრდის მიზნით, მუზეუმებში ფასიანი მომსახურების დანერგვა და შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა.

ბ) სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმების ფონდის ბაზაზე უზრუნველყონ სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის წარმართვა და შესაბამისი გეგმა წარუდგინოს საკრებულოს მიმდინარე წლის 01 ნოემბრისთვის.

5. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიას.

6. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა